საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგიაშვილი ომარ გიორგის ძე

გოგიაშვილი ომარ გიორგის ძე (დ. 22. X. 1941, თბილისი), პოლიტოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1988), საქართვ. განათლების აკად. წევრი და დამფუძნებელი (1996). 1964

დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1964–73 კომკავშირულ საქმიანობას ეწეოდა. 1973-იდან იყო თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1975–79), თსუ-ის პოლიტოლოგიის კათედრის გამგე, *პოლიტ.* მეცნიერებათა კვლევის ცენტრის დირექტორი (1998– 2006). საქართვ. ფიზ. აღზრდისა და სპორტის აკადემიის (ყოფ. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინ-ტი) რექტორი (1984– 2005). ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უნ-ტის პროფესორი (2007–09), საქართვ. საპატრიარქოს ქართ. უნ-ტის პროფესორი (2009-იდან).

იკვლევს შრომის ორგანიზაციის, სოციალურ, პოლიტიკისა და ქართ. პოლიტოლოგიური მემკვიდრეობის საკითხებს.

თხზ.: შრომის სტიმულები, თბ., 1978; ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა, თბ., 1998 (თანაავტ.); პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2003; ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიები, თბ., 2004 (თანაავტ.); ილია დღეს (იდეოლოგია და პოლიტიკა), თბ., 2008; Безумные и безумцы (Незанимательная грузинофобия), Тб., 2004; იგივე *გამოც.* მოსკ., 2005 (თანაავტ.); Эпидемия идиотизма (о незанимательной грузинофобии и не только о ней), Тб., 2006 (თანაავტ.).